წელიწადი I-ლი
კვირა, 12 სექტემბერი.
ფასი 15 მ.

# ბათომის ფურცელი

გაზეთი ღირს თვიურად . . . . 300 მან.
განცხადების ფასი:
1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . 20 მან.
4 „ „ „ . . . 15 მან.
სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.
რედაქტორის ნახვა დრ. შეიძლება საკონსულოს ყოფილ ბინაზე, დილის 11 საათ. 2 საათამდის. სარედაქციო კოლეგიის მდივანის ნახვა შეიძლება შმაევსკის სტამბაში 1 საათ. სად. 5 ს.

№ 4 ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო. № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რედაქციისაგან.

ვსთხოვთ პროვინციის თანამოაზრეთ და სხვა და სხვა საზოგადო ორგანიზაციებში მომუშავეთ სისტემატიურათ მოგვაწოდონ საგაზეთო მასალები:

კორესპონდენციები და მოკლე წერილები თავის ცხოვრებიდან.

## ქ. ბათომის და ოლქის სასანიტრო ინსპექტორი წინადადებას აძლევს

ბათომის ყველა ექიმებს დაუყონებლივ მიიღონ სასანიტარო განყოფილებაში (შეპელევის და ბულვარის ქუჩების კუთხე)

**შავი ჭირის საწინააღმდეგო შრატი,**

რათა აუცრან მოქალაქეთ, რომელნიც კი მიმართავენ მათ ამ მიზნით. აცრას სწარმოებს აგრეთვე სასანიტარო განყოფილებასთან არსებულ ლაბორატორიაში ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა, დილით 10—12 საათამდე და ქალაქის გამგეობის სასანიტრო განყოფილებაში 10—1 საათამდე

**ექიმები და საზოგადო დაწესებულებანი მსურველთ უცრიან უფასოთ.**

სასანიტარო ინსპექტორი **ზ. ელიავა.**

(2—2).

## ბათუმი 12 სექტემბერი.

რესპუბლიკას ჰყავს ერთნაირი ხალხი—საჭირდილო წარმომადგენელი ყოფილი ბრწყინვალე საზოგადოებისა.

ამ ხალხს არ დაივიწყნია ძველი მანერები „კარიერისტობა" და თავმომწონეობა.

ცნობილია რომ ამ ხალხს მშრომელ საქართველოსთან საერთო არაფერი აქვს. რევოლუციამ ეს „ოფიციალურად მწუხარე ხალხი" ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობის გარეშე დააყენა. ამ ჟამად ეს ხალხი გულზე სკდება, ხერხემალი უფუჭდება, როცა ხედავს, რომ საქართველო საწველ ფურად, ტკბილი წვენის გამოსადენად მის ხელში არ არის.

მშრომელ საქართველო არ იღებს მათ მინისტრებად და ამიტომ ისინიც გაფიცული არიან. გათავდა მათი კარიერის იმედი, ამწყო გაუფუქსავტდა მომავალი არ აქვთ, და ვით გაუთხოვარი ქალები ორპირობენ, ნერვიულად კაპასობენ და დემოკრატიულ რესპუბლიკას სხვა და სხვა ინტრიგებს უწყობენ.

ეს ხალხი პროფესიულ ფლიდის როლში არტისტობს, ხან უცხოელებთან გვაბეზღებს ხან ამ უცხოელებს ელაპარაკება ჩვენი სახელით და ჩვენგან ნება დაურთველად.

„საქართველო"-ს ჩარჩების ჯგუფი, რომლის ეროვნულმა ბურჟუზიამ ერთი ასანთის ქარხანაც ვერ მოაწყო, დღემდის ფრანგების წარმომადგენელს — დე-მარტელს უმტკიცებს საყვარულს და საქართველოს ავედრებს „გრაფს", თუმცა ამ ერთი წლის წინად გერმანელებს უხსნიდენ საყვარულს. ესევე გაზეთი ყოველ დღე ჯვარზე აკრავს ჩვენს ადმინისტრაციას და მის სიმკაცრე—თვითნებობაზე ლალადებს...

რა სასაცილოა ის ხალხი, რომელიც გულიდან — ვერადროს ვერ ამოიხევს ხალხის დამონების და დახვრეტა გაამათრახეს" ფსიხიკას რომელიც წლეების სიგრძეზე ჩვენ გვირჩევდა ძველი პრისტავის მათრახი და ძველებური გინება უნდა ხალხსო, დღეს ასე მღერის.

ფარისევლები, ფარისევლები!...

მშრომელი დემოკრატია თვითონ აძლევს სასჯელს ყველა ულირსთ და ხალხის უმრთებლოთ შემაწუხებელ პირთ მშრომელი დემოკრატია არ უარყოფს, რომ სოფლურ საქართველოს მმართველობაში ბევრი რამ არის დასაგმობი, მაგრამ დემოკრატია აცხადებს რომ „ჩვენი ბოროტმოქმედებს, წინ სდგანან „საქართველოს" კურს დამთავრებულნი სპეკულიანტი ინტელიგენტები, რომელთაც რესპუბლიკა და ხალხი იმდენად აინტერესებთ, რამდენათაც ეს მათ სახელს უხვეჭს და ფულებს აშოვიებს.

ამ წყლის ხალხი სხვათა შორის ხშირად გვიწუნებს პროექტებს რესპუბლიკის განაპირა კუთხეების მოწყობის შესახებ, თუმცა ასეთი განაპირა კუთხეები საქართველოს არ აქვს: აფხაზეთამდე, ზაქათალამდე და ბათუმამდე სულ თითო დღის სავალია ამ ადგილებში ეს ყოფილი „გრაფების სუფრის" ხალხი, მცხოვრებთა სიმპატიებს ეშოვნას ეპირება, რაც მათ სჭირიათ ერთი რომ საარჩევნო ხმის მისაღებად, ვინაიდან საქართველოს ცენტრალ ნაწილებში მათ დიდი ხანია წესი აუგეს, და მეორე კი იმისთვის რომ მთავრობის წინააღმდეგ ოპოზიცია მოაწყონ.

ესინი ახლო ნათესავები არიან იმ შავ კაცებისა, რომლებსაც აფხაზეთში ოსმალების შემოყვანა სწადდათ.

სამწუხაროდ „განაპირა" კუთხეებში ხალხი არ იცნობს ამ გამყიდველ ჯგუფებს. ჩვენ ვშიშობთ მათმა ფარისევლობამ ვინმე არ მოატყუოს.

მთელ საქართველოს მოუწოდებთ ჩვენ, რომ ერიდონ მოსყიდულ მტრებს.

„განაპირა" კუთხეების მოწყობა ისე სადად არავის არ ესმის როგორც ქართველ დემოკრატიას და იქ ჩარჩ-სპეკულიანტებს ბადეს არავინ გადაასროლიებს.

ჩვენ არ ვმალავთ რომ ამ ე. წ. განაპირა კუთხეებშიც არიან მათებრ ასალაგმავი ჯგუფები, რომლებიც უნდა გაქრენ დედა მიწის პირიდან.

დემოკრატია იმას აკეთებს, რაც მშრომელ ხალხს სჭირია და სურს, აქ ფუტურისტთა პარტიების შუამავლობა არავის სჭირია.

ქართველ დემოკრატიის მრწამსია ფართე დემოკრატიულ გადაახლება და აღორძინება, როგორც ცენტრში ისე „განაპირა კუთხეებში", თუ ეს ხალხს არ აკმაყოფილებს ხალხი თვითონ ეტყვის მის მიერ არჩეულ მთავრობას საპროტესტო სიტყვას.

დემოკრატიას ეჯავრება ბურჟუაზიულ კაბინეტებში მკვდარ პრობლემების წერა, დემოკრატია პრაქტიკულია და იგი არც ერთ კუთხეს არ დააკლებს იმას, რასაც ხალხი საჭიროებს, თუმცა ეს „საჭიროებანი" მას საპროვოკაციო თეორიად გაზეპირებულ და უვარგის მომღერალსავით წინ და წინ ნაყვირი არ ქონდეს.

## „აღმოსავლეთის ხალხთა განთავისუფლება".

(კვალ და კვალ)

ყრილობის გახსნა

პირველ სექტემბერს ბაქოში გაიხსნა აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა.

თუ რა მნიშვნელობას აძლევენ კომუნისტები ამ ყრილობას იქიდან სჩანს, რომ ბაქოში არა ნაკლები ზეიმით იდღესასწაულეს ყრილობის დღე ვიდრე მოსკოვში მესამე ინტერნაციონალის მეორე კონგრესის გახსნა.

„ქალარა აღმოსავლეთი, რომელმაც პირველათ მოგვცა ჩვენ ზნეობის და კულტურის შეგნება," მოვიდა ბაქოში, რომ ილაპარაკოს „თავის მწუხარებაზე, თავის ღრმა ჭრილობებზე, რომლებიც დაასვა მის სხეულს საუკუნეების განმავლობაში ბურჟუაზიული ქვეყნების კაპიტალმა." (ნარიმან ნარიმანოვის სიტყვა).

ყველაზე უფრო განსაცვიფრებელი და გულის ამაყუჩებელი ის არის, რომ აღმოსავლეთის ხალხთა დელეგატებს-ჩინელებს, ავღანელებს, ინდოელებს, ბუხარელს, დაღესტანელს, ბელუჯისტანელს, კირგიზებს, კორეელებს, მანჯურებს, ყველას შეუსწავლია ინტერნაციონალი და ამ რევოლიუციონურ ჰიმნით ფარავენ მოსკოვიდან ჩამოსულ კომუნიზმის მოციქულთა სიტყვებს.

„ნარიმანოვი. კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის სახელით, აღმოსავლეთის ხალხთა პირველ ყრილობას ვაცხადებ გახსნილათ. (მქუხარე ტაშის კვრა, მღერიან „ინტერნაციონალს")

„თავმჯდომარე ხალხთა ყრილობის კომუნისტური და უპარტიო ფრაქციები წინადადებას იძლევიან საპატიო თავმჯდომარეთ არჩეულ იქნას ამ ლენინი, (ტაში. მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს), ზინოვიევი და ტროცკი (ტაში. მუსიკა ისევ უკრავს ინტერნაციონალს)."

„წინადადება შემოდის, პრეზიდიუმის საპატიო წევრებათ არჩეულ იქნას ძვ-რფასი სტუმრები ამხ. კველჩი—ინგლისიდან, როსმერი—საფრანგეთიდან, შაბლინი—ბულგარეთიდან, იანცი—ჰოლანდიიდან, რიდი—ამერიკიდან, (ტაში. მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს)". („ახ, კომ. № 40).

აღმოსავლეთის ხალხებს ისე შეყვარებიათ ინტერნაციონალი, რომ ყოველ სიტყვის შემდეგ მღერიან.

მღერიან რასაკვირველია ერთ ენაზე, ვინაიდან 1800 კაცმა, ოცი სხვა და სხვა ერის „წარმომადგენლებმა" რომ თავის ენაზე იმღერონ, ენათა არევა იქნებოდა და რევოლიუციონური ჰიმნის მაგივრათ ბგერათა და ხმების ვინეგრეტს მიიღებდენ.

ეს ერთი ენა რასაკვირველია რუსული ენაა. გასაკვირი აქ არაფერია. ყველა დელეგატი, სანამ ყრილობაზე მოხდებოდა კომუნისტების მეკაში გამოიარდა და საფუძვლიანათ შეისწავლიდა რუსულს.

შესაძლებელია რასაკვირველია „ინტერნაციონალს" ბაქოს სოვდეპის „კაზიონი" ხორო და ორკესტრი ასრულებდეს.

განა ტყუილათ გაიღეს ამდენი ფუ-

ლი დელეგატების ღირსეულად შესახვედრათ?

ალბათ დღესასწაულის პროგრამაში ორკესტრი და ხოროც იქნებოდა.

ვინ ამბობს მართალს?

სასაცილო საქმე ემართებათ კომუნისტებს: რა არ ცდილობენ ყრილობის მიზნების და მნიშვნელობის გარკვევას, ერთი საერთო პასუხი ვერ მოუნახავთ.

მომზადებულია აღმოსავლეთის ხალხი კომუნიზმის შესათვისებლად თუ ჯერ კიდევ ეკონომიურ კულტურული განვითარების გრძელი სტადია უნდა გაიაროს—აი რა არის გამოსარკვევი და კომუნისტებიც არკვევენ, მაგრამ რამდენი კომუნისტური თავია იმდენი პასუხია: ,,ევროპაში კაპიტალიზმის განვითარების საარსებო პირობებმა მოითხოვეს ნაციონალურ ბურჟუაზიულ სახელმწიფოების წარმოშობა''.

როდესაც აღმოსავლეთმა მოინდომა ამავე გზით წასვლა, მას ეს ევროპის სახელმწიფოებმა აღარ დაანებეს. აღმოსავლეთის გაბურჟუებას ბურჟუაზიული სახელმწიფოები წინააღუდგენ. (ახ კომ. № 40.)

,,ახალი კომუნისტის'' მეთაურის ამონაწერიდან ირკვევა რომ: აღმოსავლეთის კაპიტალისტურად განვითარებისათვის საჭიროა ნაციონალურ ბურჟუაზიული სახელმწიფოების წარმოშობა, მაგრამ აღმოსავლეთის ,,გაბურჟუებას'' წინ აღუდგა ევროპის ბურჟუაზიული სახელმწიფოები.

მეთაურში არსად არ არის ნათქვამი, რომ აღმოსავლეთის ხალხებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ გაუარიათ კაპიტალისტური განვითარების ხანა, შეუძლიათ კომუნიზმის სამყაროში გადასვლა. მაშასადამე, რომ აღმოსავლეთშიც გაიმარჯვოს კომუნიზმის იდეამ, საჭიროა აღმოსავლეთის ,,გაბურჟუება'' და ,,აი, კომუნისტური რევოლიუცია ახდენს, და თუ გნებავთ, იძულებულია მოახდინოს, ის რაც თავის დროზე ვერ შეასრულა ბურჟუაზიულმა რევოლიუციამ: აღმოსავლეთის განვითარებისათვის აუცილებლათ საჭირო პირობების შექმნა ახალი ცხოვრების შესაფერათ''. (ახ. კომ. № 40).

ამ უკანასკნელ ამონაწერში ნათლათ არის გარკვეული ის მიზნები, რომელსაც კომუნიზმი ისახავს აღმოსავლეთში.

არავითარი კომუნისტური რევოლიუციაზე, არავითარ დიქტატურაზე პროლეტარიატის და უღარიბეს გლეხების ლაპარაკი არ არის.

მაგრამ ახლა ყური დაუგდოთ ზინოვიევს, რომლის სიტყვას ,,ახალმა კომუნისტმა ასეთი სათაური გაუკეთა. ,,კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესი გძელდება'' ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბაქოს ყრილობა შევა გამანთავისუფლებელ ბრძოლის ისტორიაში, როგორც დამატება, როგორც ნაწილი, როგორც იმ კონგრესის მუშაობის მეორე ნახევარი, რომელმაც ეხლახან დაათავა თავისი მუშაობა მოსკოვში.''

ზინოვიევი სულ სხვა ხასიათს აძლევს ყრილობის მიზნებს, აქ ,,გაბურჟუებაზე'' კი არ არის ლაპარაკი, არამედ აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობას, რომელმაც უნდა გამოიმუშაოს ზომები აღმოსავლეთის გასანთავისუფლებლათ და ,,გასაბურჟუებლად'' მოსკოვის ინტერნაციონალის მეორე კონგრესის დამატებათ გადაქცევას უპირებენ.

არც გლეხთა და მუშების ინტერესების დაცვაზე და მიწით უზრუნველყოფაზე ლაპარაკი შეეფერება ,,აღმოსავლეთის გაბურჟუებისთვის'' ზრუნვას:

,,თუ თქვენ გინდათ გაიგოთ, თუ რა არის მეორე ინტერნაციონალი, გადახედეთ საქართველოს, რომელსაც თქვენ კარგათ იცნობთ. აი, ეს არის მეორე ინტერნაციონალის განსახიერება. საქართველოს სათავეში უდგას მენშევიკების მთავრობა, რომლებიც მეორე ინტერნაციონალის ნაწილი არიან. ეხლანდელი საქართველოს წინამძღოლები არიან მეორე ინტერნაციონალის თვალსაჩინო წარმომადგენლები, ეს იმას ნიშნავს, რომ გლეხები ვერ ღებულობენ მიწას, ეს იმას ნიშნავს, რომ ბეჭვდის თავისუფლება არსებობს მხოლოდ ბურჟუაზიისთვის, რომ მუშებისა და გლეხებისათვის არ არსებობს ბეჭდვის და სიტყვის თავისუფლობა''. (ზინოვიევის სიტყვა.)

რა შუაშია ლაპარაკი ინტერნაციონალზე, სოციალიზმზე, მუშათა და გლეხთა ინტერესებზე, თუ ,,კომუნისტის'' სიტყვით საქმე მხოლოდ აღმოსავლეთის განთავისუფლებას და ,,გაბურჟუებას'' შეეხება?

კომუნისტურმა მარცხენა ხელმა არ იცის რას აკეთებს მარჯვენა.

მაგრამ ვინ ამბობს მართალს? ,,ახალი'' კომუნისტი თუ ამხ. ზინოვიევი:

,,გაბურჟუება'' სჭირია აღმოსავლეთ, თუ მეორე და მესამე ინტერნაციონალის დავაზე საუბარი?

რას წარმოადგენს ყრილობა.

სერიოზულათ ლაპარაკი აღმოსავლეთის ხალხთა ,,დელეგატების'' ყრილობაზე და მის მნიშვნელობაზე შეუძლებელია. მართლაც და როგორ შეიძლება სერიოზულათ ლაპარაკი ყრილობის შესახებ იმ დროს, როცა ყრილობის დელეგატთა უმრავლესობა მცირე ჯგუფების წარმომადგენლებია და ისეთი ჯგუფების, რომელიც სოვნარკომის ფულით იქმნება მოსკოვში და პეტროგრადში.

რომელი სერიოზული ადამიანი დაიჯერებს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც უბრალო დემოკრატიზმზეც კი შეუძლებელია ლაპარაკი, შეიძლება კომუნისტური პარტია არსებობდეს.

ყველა ის ,,კომუნისტური'' პარტიები ჩინეთის, კორეის, იაკუტების მანჯურების, ინდიელების და სხვა, მოსკოვის მარკისაა და სექტანტური ხასიათი აქვთ.

აბა ერთი რა უნდა ყრილობაზე ფ. მახარაძეს? როდის გაგზავნა ის საქართველოს ხალხმა, როდის აირჩია ის თავის ვექილად და თავის განთავისუფლებაზე ზრუნვა მიანდო?

ყრილობის სხვა დელეგატებიც ისეთივე წარმომადგენლებია თავისი ხალხის, როგორც ფილიპე მახარაძე საქართველოსი.

და განა ამის შემდეგ შეიძლება ყრილობის მნიშვნელობაზე ლაპარაკი? და თუ ჩვენ ,,ახალ კომუნისტს'' შევეკამათეთ მხოლოდ იმიტომ, რომ ცხად გვეყო კომუნისტების პოლიტიკური ოინბაზობა.

კომუნისტებს ფეხებზე ჰკიდიათ აღმოსავლეთის ხალხთა ბედ-იღბალი. აკი ინგლისთან მოლაპარაკების დროს ჩიჩერინმა განაცხადა, რომ ის არ ჩაერევა აღმოსავლეთის საქმეებში და ,,სცნობს ინგლისის ინტერესებს აღმოსავლეთის ქვეყნებშიო.''

აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა იმიტომ დარჩა საჭირო, რომ საბჭოთა მასიას ლონდონში მოლაპარაკება გაუადვილონ, შეაშინონ ინგლისი და აიძულონ მოლაპარაკებას შეუდგეს.

,,მიზანი ამართლებს საშვალებას,'' იეზუიტების ეს დევიზი კარგათ შეითვისეს კომუნისტებმა.

ე. წ.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

პარიზი. სექტემბრის 9. ,,პტი ჟურნალი'' იხილავს პოლონეთ რუსეთის ფრონტის მდგომარეობას და აღნიშნავს: რუსეთ პოლონეთის ფრონტის მდგომარეობის გაცნობა ცხადათ ადასტურებს ბოლშევიკების დამარცხებას, თუმცა ბოლშევიკები ამაში არ ტყდებიან. პოლონელების გამარჯვებამ თავის გავლენა იქონია ევროპის საერთო მდგომარეობაზედაც და ბოლო მოუღო ინგლისში კომედიის თამაშობას. მოსკოვმა შეცთომა და ვერ გამოიყენა მისთვის ხელსაყრელი პირობები. როგორც ეს ხშირად ხდება ჩიჩერინი, კამენევი და კრასინი იმაზე მეტი შორს მჭვრეტნი გახდნენ, ვიდრე ეს საჭირო იყო. მათი იმედი აღმოსავლეთსა და პოლონეთზე დაიმსხვრა, ახლა მოკავშირეებს, პოლონეთის დ ა მ ა რ ც ხ ბ ი ს კამპარისაგან განთავისუფლებით რუსეთის საკითხი უფრო გულდამშვიდებულათ შეუძლიანთ გადასწყვიტონ. მაგალითმა გვიჩვენა, რომ ბოლშევიკთა რწმუნება ხალხთა ძმობის და ნამეტურ პოლონელებთან დაძმობილების შესახებ, ფარისევლურია. ბოლშევიკებმა გასცეს კატეგორიული ბრძანება პოლონეთის წინაღმდეგ შეტევისა და ამავე დროს მინსკში საზავო კონფერენცია დანიშნეს. ისე რომ ეს პოლონეთის მთავრობას კი არ აცნობეს, არამედ ლონდონს აუწყეს. შემდეგ როდესაც ამ მიზეზით პოლონელები კონფერენციას ვერ დაესწრენ. ბოლშევიკებმა მათი მოუსვლელობის გამო საყვედური განაცხადეს. ბოლშევიკებმა გვიჩვენეს რომ მათში არაა არც ზრდილობა და არც კეთილშობილება საერთაშორისო მნიშვნელობით გაგებული ბოლშევიკების ვერაგობამ შეიძლება ვინმეს მოუტანა სარგებლობა მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა მათ. ყოველივე ამას ანგარიში უნდა გაუწიოთ და გარკვეულად უნდა გადავსწყვიტოთ რუსეთის საკითხი. თუ დასავლეთ ევროპის დემოკრატიის არ მიაჩნია შესაძლებლად რუსეთის საქმეებში ჩარევა, მაშინ ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოიხსნას. ევროპას უნდა რუსეთის ნედლი მასალა, მაგრამ ძალიან საეჭვოა, რომ მან ის მიიღოს. ყოველ შემთხვევაში რუსეთი მეტად საჭიროებს ევროპას, ვიდრე ევროპა რუსეთს- თუ ევროპას არ შეუძლია ჩაერიოს რუსეთის საქმეებში და მას დახმარება გაუწიოს, მაშინ დეე თვით რუსეთი დაეხმაროს ევროპას.

საბერძნეთის ჯარები.

ლონდონი. 9 სექტ. ,,დეილი-ექსპრესი'' იუწყება კონსტანტინოპოლიდან; საბერძნეთის ტრანსპორტები როდოსიდან გავიდენ, გაიარეს ბოსფორი და შავ ზღვაში შევიდენ. ტრანსპორტზე მოთავსებულია საბერძნეთის მთელი დივიზია.

გერმანიაში.

პარიზი. ბერლინიდან იუწყებიან პრეზიდენტი ებერტი გადადგომას აპირებსო ამ განცხადებას მიიღებენ, უთუოდ და ახალ პრეზიდენტს აირჩევენო

მიწის ძვრა იტალიაში.

რომი. 9 სექტ. აველინის მახლობლად მიწა იძრა, მეფემ ინახულა მიწის ძვრისა საგან დაზარალებული ადგილები. გლეხები და მუშები მეფეს ოვაციებით შეხვდენ, მეფე დაინტერესდა მათი მდგომარეობით და მიუხედავათ საფრთხისა შედიოდა სახლებში ზარალის გამოსარკვევად. გაზეთ ,,ეპოხას'' ცნობით მიწის ძვრამ 300 კაცი იმსხვერპლა [illegible] სამხედრო სამინისტრომ და წით. ჯვ. საზ. დაზარალებულთ [illegible] გაუგზავნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერიკაში

ლონდონი სექტემბრის 9 ნიუორკიდან: პრეზიდენტის თანამდებობაზე დემოკრატების კანდიდატმა კოკსმა საარჩევნო კრებაზე დაიცვა ირლანდიის დამოუკიდებლობა.

# ძველი დღიურიდან.

... ზღის გასტროლზე ვარ... ზღვა სოჭის ნაპირებს თავის ზვირთებში ათამაშებს... ზღვის გორაკებში ტალღათა სტიქიურ ბრძოლაში ქანაობს პატარა ნავი...

დაიღუპება—ჩაიძირება, ზღვა ჩანთქავს მაზე მსხდომთ, აწ კი განწირულს,..

ვინ უწყის ხვალ ზღვის კონცერტზე მაგ მენავის გვამი ამოათამაშოს უგრძნობმა მრისხანე ზღვამ... თბილი ნაპირზე! .

ნავი ისევ ომობს, იხტიბარს არ იტეხს საქეს არ უშვებს...

რა ცუდია დამარცხება, ურძიროებისკენ დაეშვება გემი, თუ ვინმე ცნობილი სოვდაგარი იყო მასზე მყოფი, საახალამბო ქრონიკად მოიხსენებენ და მით დასრულდება მიწიერი ისტორია ერთი კაცისა...

შენც ასე ომობ ჩემო სამშობლოვ, სამყაროს ძლიერთა შორის შენ პაწია ნავათ მოსჩანხარ... განგებამ გაშოროს შენ დამარცხება!..

ტყვე ვარ დამარცხებული, იარაღ აყრილი .. ორი საათის მერე გაგვრეკავენ ნოვოროსიისკენ... სოჭი ჩემი სატრფოა, ასე რიგად არც ერთი კუთხე ივერიისა არ შემყვარებია... მაგრამ ასე რიგად თავი არსად შემირცხვენია ვითარცა მეომარს, როგორც აქ... ტყვეთ წამიყვანეს ვაი რა ცუდია ეს, მხილება და სიცხადე!..

ასე იტყვიან ჩემს გახსენებაზე ალბად ორგული სატრფოსგან შეპყრობილი ყოფილა, ბრძოლის ველი დაუწყნია და ტყვეთ ჩავარდნილაო...

ჩემი ტურფა სოჭი იყო, გუშინ სოჭი დავკარგეთ მე სიკვდილი მინდოდა მაგრამ ის არ მოვიდა... სულით დაჭრილი სიცოცხლის მაწყევარი შავი ზღვის ტალღებს ვეკითხებოდი გადაეშალა მას ჩემი შავი ბედის შავი წიგნი და შავად აეხსნა თუ რათ იყო ამ დროს ჩემი ვარსკლავი ასე მუხთალი და არარა.

არც აქ მაცლიდენ მარტო ვაებას აი, ოცი წუთიც გაივლის და წაგვიყვანებენ... ჩვენი ჯარისკაცები გემში ჩაუსხამთ და გაუგზავნიათ... სოჭაში ზეიმი აქვთ გამარჯვებულ დენიკინელებს. ხალხი იგლოვს საქართველოს წასვლას, ამ ექვსი თვის წინად ხალხმა მოიყვანა აქ საქართველოს დემოკრატია...

დემოკრატია ჰგმინავს მეფის გენერლების ქუსლის წინაშე...

,.ნავთსადგურში დენიკინის ოფიცრები ქართველ ტყვეებს ემასხრებიან.. ამცირებენ და აწამებენ .

მწუხრის ნისლი ჩამოწვა სოჭში. გაიძარცვა—გაქრა სიკეკლუცე მისი. .

ბრაზობს ბუნება, ქარი არღვევს ყველაფერს, მოთხარა ბებერი ხე ზღვის ქარიშხალმა, ნაპირზე გამოისროლა ერთი ნავი...

საქართველოსკენ მზე მოსჩანს, ნავოროსიისკენ ღრუბლები...

გადაგვიყვანეს გემში, გემმა შეჰკივლა გვულურად ერთი და ქანავქანავით გასრიალდა ტუაფსესკენ... გემში მოხალისეთა ოფიცრები ილანძღებიან, საქართველოში ქვასქვაზე არ დავსტოვებთო იკვეხიან ..

თვალებს ვხუჭავ, აქ მყოფი ყველა მეზიზღება ან ვის დაველაპარაკო!..

მახსოვრობაში აარჩდილდა წუთი როცა ჩვენ სოჭის დემოკრატიისგან მოპატიჟებულნი შევედით სოჭში და მაშინ მუსიკა უკრავდა საქართველოს დემოკრატიის გამარჯვების მარშს...

ნეტარ მოგონებად ჩამექსოვა ეს წუთი.. „რივიერა“ და მუშების მღელვარე კრება, თვალებს ელანდება, ძილის გემი, გული სტირის აღარ შევჰყურებ ლამაზ ბუნებას, მოუთმენლობამ წამიტაცა და ველი აღსასრულს... მტერთა განაჩენს..

---

გამომეღვიძა ვიწრო სპყრობილე ოთახში, ერთ კუთხეში ვიჯექი... დიდხანს ვერ მოვედი გონს..

12 საათზე შავი პურის პატარა ნაჭერი შემომაწოდა რკინის ფანჯრიდან ყარაულმა.. რატო ვარ მარტო რათ გამარჩიეს სხვა ტყვეებიდან?. ვეკითხები ჩემს თავს.. მოვიდა მოხალისეთა ოფიცერი ჩვენებას მართმევდა მეცუარი უთხარი, ბევრი მლანძლა, სოჭის მერე სოხუმში შევალთო მითხრა და წავიდა... რა საზიზღარი და თან მონის სახე ჰქონდა იმ ოფიცერს..

რა ვქნა „გამარჯვებულმა“ დამარცხებული ყმად გამიხადა.

მინდა ძილი არ მინდა დღეს შევჰყურებდე...

ოი! ბუნებავ რა კარგი იქნებოდი რომ შენ დღეებს შეამოკლებდე და მუდამ მაძინებდე, განაჩენის მიღებამდე..

შემისრულდეს ეს...

**ირაკლი.**

1918 წ.
დეკემბერი.

---

# ახალი ამბავი.

**მუშათა ცხოვრება. პროფესიულმა კავშირებმა საბინაო კომისიას სთხოვეს, რომ ინტერნაციონალის დელეგაციის ჩამოსვლის დღისათვის დაცლილ იქნას კერძო მდ**[illegible] გან მუშათა კლუბი მირონეს პროსპექტზე.

— მუშათა მაგიდა სთხოვს საბინაო კომისიას სასწრაფოდ უშოვოს მას ბინა საავადმყოფო კასისათვის. ვინაიდან კასის მოქმედება უბინაობის გამო შეჩერებულია.

**ბენზინის სიმცირის გამო. სამხედრო საბჭომ დაადგინა: ბენზინის სიმცირის გამო აიკრძალოს სამხედრო უწყების მსუბუქ ავტომობილთა მიმოსვლა, თუ სამხედრო მინისტრისაგან ამის შესახებ საგანგებო ნებართვა არ იქმნა. 2. საბარგო ავტომობილებს იმ შემთხვევაში მიეცეთ მიმოსვლის ნება, თუ ბარგის გადატანა სხვა საშუალებით შეუძლებელია. 3. მიღებულ იქმნას ენერგიული ზომები ბენზინის საშოვნელად. 4. გადასინჯულ იქმნას დაწესებულებათა და იმ პირთა შტატი, რომლებიც სარგებლობენ ავტომობილებით. ავტომობილებით სარგებლობის უფლება ვისაც არა აქვს აეკრძალოს ავტომობილით სარგებლობა 5. სრულიად შესწყდეს არა სამხედრო დაწესებულებათათვის ბენზინის მიცემა.**

**დღეს დილის 10 საათზე ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია ბათომის სახელმწიფო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების საზოგადო კრება. გასარჩევია ფრიად საყურადღებო კითხვები.**

**დღეს დილით 8 საათზე მუშათა სასახლეში დანიშნულია ახალგაზრდა მარქსისტთა ბათომის კომიტეტის სხდომა.**

— ინტერნაციონალის სტუმრების შესახვედრად. სხვა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებს სისტემატიური თათბირი ექნებათ ინტერნაციონალის სტუმრების და დელეგაციის შეხვედრის მოსაწყობად.

— გუშინ საგანგებო კომისარს ჰქონდა მოწყობილი განსაკუთრებული თათბირი ამ საკითხის შესახებ.

ჩეხოსლოვაკიის კონსული სოხუმიდან დაბრუნდა და გადმოგვცემს რომ ჩეხოსლოვაკიის საქონელი გამოგზავნილი საქართველოსთვის მალე მოვა თბილისში

სოჭიდან ჩამოსულ გადმოგვცემენ რომ ნოვოროსია, სოჭის ადლერი და ტუაფსე საბჭოთა ჯარის ხელშია.

ოლქის ინჟენერი ბ-ნი გიორგობიანი გაემგზავრა ზემო აჭარაში ტეხნიკურ ზომების მისაღებად.

— განმარტება. შრომის სამინისტრომ ბათომის მუშათა მაგიდას განუმარტა, რომ 1. სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურენი სარგებლობენ იაფი სურსათით მიუხედავათ ჯამაგირისა 2. კერძო და საზოგადოებრივ დაწესებულების მოსამსახურენი სარგებლობენ სურსათით თუ ღებულობენ ოვეში 15 ათას მანეთზე ნაკლებს. 3. სურსათით სარგებლობს საბჭოს თავმჯდომარე 4. სოფლისა და ქალაქის მოხელეებს იაფი სურსათი არ მიეცემათ. მასწავლებლებს და მილიციის მოსამსახურეთ ისევე მიეცემათ სურსათი, როგორც სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეთ. 5. ქალაქისა და სახელმწიფო დაწესებულებათა აქიმები იმ შემთხვევაში ისარგებლებენ ამ უფლებით თუ კერძო პრაქტიკა არა აქვთ. 6. დღიურათ და დროებით მომუშავეთ. სურსათი არ მიეცემათ საშუალო სასწავლებლის მასწავლებელთაც 9 კოოპერატივები და საურთი ერთო ნდობის საზოგადოებები საზოგადოებრივ დაწესებულებად ითვლება.

— სახალხო გვარდიის წლის თავის დღესასწაულში რომელიც იმართება 26 სექტემბერს მონაწილეობის მიღების მსურველთ წინასწარ განცხადება უნდა წარუდგინონ საოლქო შტაბს.

---

# ბათომის ქალაქის საბჭოს სხდომა 2 სექტემბერს.

სხდომა იხსნება საღამოს 7 საათზე ო. ი. რამიშვილის თავმჯდომარეობით. ესწრობა 25 ხმოსანი· ქალაქისათვის მოადგილე ზია-ბეგ აბაშიძე და გამგეობის წევრი [illegible] შვილი

რიგს გარეშე სიტყვა [illegible] ზია-ბეგ აბაშიძეს, რომელიც მადლობას უძღვნის საბჭოს არჩევისათვის და მოახსენებს, რომ ჯერ აურჩეველი არის გამგეობის ერთი წევრი, ერთიც ჯერ ვერ გერ გამოცხადებულა და ამიტომ ახალმა გამგეობამ ვერ გაინაწილა ს მუშაოთ თვითმართველობის განყოფილებანი, გამგეობა ჯერჯერობით წინასწარ მუშაობას აწარმოებს, საქმეებს ეცნობა და შემდეგ სხდომისთვის საბჭოს მოახსენებს მომავალი მუშაობის დაწვრილებითი გეგმას.

დღის წესრიგში დასმული არის შემდეგი საკითხები:

1. გაგზავნა მისალმებისა: მთავრობის, დამფუძნებელი კრების და ქალაქთა კავშირისათვის.

2. წევრად შესვლა ბათომის თვითმართველობისა რესპუბლიკის ქალაქთა კავშირში.

3. ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომის ნუსხის შედგენა 1921 წლის 1 იანვრამდე,

4. ქალაქის გამგეობის მეოთხე წევრის არჩევა.

5. არჩევა საბჭოს მუდმივი კომისიების:

სარევიზიო საფინანსო, სასკოლო, ტეხნიკური, მედიკო-სანიტარული, საადგილ-მამულო იურიდიული საკრო საბუთების შემმოწმებული, მთავარი შემფასებელი, უძრავ ქონებათა შემფასებელი, ქალაქის ხასარგებლოდ გადასახადების ასაღებად, ქუჩების სახელების დამრქმევისა.

6, განცხადებანი ყოფილ ქალაქის მოურავის რ. ი. ჯავახიშვილისა და გამგეობის წევრის ხმოსან ფ. ლორთქიფანიძისა და ა. ი. თოროსოვისა იმათთვის სალიკვიდაციოს მიცემის შესახებ საბჭო ადგენს: გაეგზავნოს მისალმებანი. მთავრობის თავმჯდომარეს, დამფუძნებელ კრებას და ქალაქთა კავშირს და საამისო დეპეშების შედგენას ანდობს პრეზიდიუმს.

---

# ახლო წარსულიდან.

დღეს მივიღეთ ცნობა, რომ სადგურ ქობულეთის ახლოს ბოროტ-გამზრახველებს აუფეთქებიათ კინტრიშის ხიდი. ყველა მოსამსახურეები განცვიფრებაში მოვიდნენ ასეთი მოულოდნელი აქტით. ვეკითხებოდით ერთ მეორეს ვის დასჭირდა ხიდის აფეთქება? რა მიზნით არის აფეთქებული? ძლიერ დაინტერესებულია ყველა ბოროტ-მოქმედების აღმოჩენაში. სასწრაფოთ გაემგზავრენ განსაკუთრებული მატარებლით იუსტიციის მინისტრის ამხ. ბ. ბ. ჟორდანია, პალატის პროკურორი ტატიშვილი, სისხლის სამართლის მილიციის უფროსი ფაჩულია და სხვები. რკ. გზების მილიციის უფროსმა ბ. ბერძენიშვილმა მიბრძანა დამემზადებია 30 დარაჯები, ტყვია-წამალი, სანოვაგე და საღამოს 7 საათზე სად. ქობულეთისკენ გასამგზავრებლად გავმზადებულიყავით. უკვე შეშვიდე საათი დაიწყო.

სადგურზე ჩამოაყენეს ორი განსაკუთრებული სამგზავრო და რამოდენიმე საამშენებლო მასალით დატვირთული ვაგონები. სადგურზე ოგროვდნენ რკ. გზების მილიციის უფროსი ბ. ბერძენიშვილი, ლიანდაგის კარპოვიჩი, მოძრაობის — აბელაშვილი, ნავთსადგურის და სხვ. სპეციალისტები, ყველა დაღონებულია.

უკვე შვიდი საათია. ჩვენი მატარებელი დაიძრა და ჩვენც გავემგზავრეთ. მატარებელი სადგურებში არ ჩერდებოდა, მაგრამ სადგურ მცხეთას რომ მივაღწიეთ აღმოჩნდა, რომ ერთ ვაგონს, რომელიც საამშენებლო მასალით იყო დატვირთული ცეცხლი გაჩენოდა. ცეცხლი სასწრაფოთ ჩააქრეს.

გათენდა. ყველა წავედით აფეთქებული ხიდის სანახავათ, საშინელი სურათია. დიდი, ძველთაძველი ხიდი, შუა ადგილზე 5—7 საჟენის სივრცეზე გაწყვეტილია ნავთსადგურის მილიდგან უვლია ნავთს და სრულიად დამწვარია ხის მასალა. რკინეულობას, ძლიერი სიმხურვალის გამო დაუკარგავს თავის სახე სიმაგრე და რამოდენიმე სხვა და სხვა რკინეულობა ისე შედუღებულა ერთი მეორესთან, რომ ძნელი გამოსაცნობია. ექსპერტებმა დაამტკიცეს, რომ აფეთქებას დასჭირებია ხანგრძლივი დრო და ამასთანავე გამოცდილი კაცის ნამუშევარია, იქვე ახლოს 200 საჟენით იყვნენ დაბინავებული ინგლისის ჯარი 5000 კაცამდე და წარმოიდგინეთ, საშინელი აფექების დროს იმათ უფროსსარ მოუსურვებია ბოროტ-მოქმედების შეპყრობა. როცა ჩვენ თავს დავსტრიალებდით აფეთქებულ ხიდს, არც ერთი საოკუპაციოჯარის წარმომადგენელი ჩვენთან არ მოსულა გასაცნობათ, თუ როგორ, რა მოსაზრებით და ვინ ააფეთქა ხიდი. უფროსები დაბრუნდნენ და გამართეს თათბირი, როგორ მოიქცნენ რა პირობები წაუყენონ ინგლისის სარდლობას, სხვა მოთხოვნილებებთან ერთად თათბირი ითხოვდა მომავალი უბედურების თავიდან ასაცილებლად, ხიდის, საამშენებლო მასალის და მუშა-მოსამსახურეების დასაცავათ, დააყენონ ჩვენი დარაჯები

ასეთი დავალებებით წარუდგენ ქ. ბათუმში ინგლისის გენერალ-გუბერნატორს კუკ-კოლისს. გუბერნატორი დათანხმდა ყველა მოთხოვნილებებს, გარდა ჩვენი დარაჯების დაყენებისას, იმავე დროს მუშა-მოსამსახურეები უკვე მუშაობდნენ, კუკ-კოლისის წინადადება აცნობენ თფილისში გზათა დეპარტამენტის დირექტორს, რომლისგანაც მეორე დღეს მიიღეს განკარგულება: „თუ ინგლისის მთავრობა არ დათანხმდება, ჩვენი, რკ. გზ. დარაჯების დაყენებას, დაუყონებლივ მიატოვეთ მუშაობა და წამოიღეთ ჩვენი მასალა“ მე 3 დღეს ხელმეორეთ წარუდგენ ულტიმატუმით, გუბერნატორი კუკ-კოლისი ყოყმანის შემდეგ დათანხმდა დაგვეყენებია ინგლისის ჯარის-კაცებთან მხოლოდ ორი შეერთებული სადარაჯო პოსტი ე. ი. სულ შეიძლებოდა გვყოლოდა 21 კაცი, ამ რიგათ, დიდის ვაი-ვაგლახით ჩვენს მიწა-წყალზე ნება დაგვრთეს ორი თავისუფალი რესპუბლიკის დარაჯის დაყენება. ჩვენ, ახლოს აჩრდილივით იდგა მავკანიანი ინდუსი.

დაღამდა. მე ვაფრთხილებ დარაჯებს ფხიზლად იყვნენ ღამე, ვინაიდან ცნობა მივიღეთ, რომ უპასუხისმგებლო ბრბო, რომელსაც მეთაურობდა პაიჭაძე თავდასხმას აპირებს.

ხიდის მდებარეობა ირგვლივ დღესავით განათებულია და მუშები ჭიანჭველასავით ესევიან უზარმაზარ ხიდის ნაწილებს, დღე და ღამე განუწყვეტლივ მუშაობენ, ცა მოწმენდილია და ვარსკლავები ლაპლაპებენ, ირგვლივ სიჩუმეა, მხოლოდ, ხან გამოშვებით ტურები საშინელ კივილს ასტეხენ. ჩემთან კართლ-კახელები მსახურობენ და გურულ-მეგრელ-იმერლებს აჯავრებენ: „მგონი თქვენებური ქორწილია, რომ თქვენსავით მღერიანო“. ესენიც სამაგიეროს უპასუხებენ და ასეთ ოხუნჯობაში დროს კლავენ, ხან მოისმის მუშების ტკბილი შეზავებული მედგარი „ელეესო, ელეესო“ და მიათრევენ უზარმაზარ რკინას, ამ დროს მოგვესმა ჩუმი რაღაცა, საიდუმლო ხმა ჩვენი ჯავსნოსნის ორთქლმავლის, მე სასწრაფოთ მივიხედე და შორს ლიანდაგზე მოსჩანს დიდი წითელი თვალები, რომელიც მუქარით ჩვენსკენ მოჰქრის, სადგურ ქობულეთში უცებ შემოიჭრა ჯავსნოსანი ამაყი, ლაღი, შეუპოვარი, გაჩერდა თუ არა, იმ წამსვე ისკუპა ორმა გვარდიელმა და დაიკავეს თავიანთი სადარაჯო ადგილი, მე საგონებელში ჩავარდი: როგორ გაბედა შემოსვლა ჯავსნოსანმა, როცა უბრალო დარაჯსაცკი არ გვაყენებენ სადარაჯოზე, ვინ იცის როგორ შეხვდება ამას ინგლისის სარდლობა, მე იმ წამსვე წავედი ჯავსნოსნის უფროსთან, შა-

დიუმს: მორიგი სხდომებისათვის საბჭომ დანიშნა პარასკევი სექტემბერში 10 და 24, ოქტომბერში 8 და 22, ნოემბერში 5 და 19, დეკემბერში 3, 17 და 31; სულ 1921 წლის 1 იანვრამდე 8 მორიგი სხდომა.

გამგეობის მეოთხე წევრის თანამდებობაზე სომეხ ხმოსანთა ჯგუფმა დაასახელა არტ. ბოღდ. პეტროსიანი, რომელიც ფარული კენჭის ყრით არჩეულ იქნა 23 თეთრით და 2 შავი ხმით, საბჭოს მუდმივი კომისიების რიცხვი ასე განისაზღვრა:

სარევიზიო კომისიაში 9 ხმოსანია, საფინანსო—7, სასკოლო - 7, მედიკო-სანიტარული—5, საადგილმამულო-იურიდიული—5, სავაჭრო საბუთების შემმოწმებელი – 3, მთავარი შემფასებელი—3, უძრავ ქონებათა შემფასებელი ქალაქის სასარგებლოდ გადასახადების დასადებად —3. ამის შემდეგ საბჭო ირჩევს ყველა კომისიის წევრებს ღია ხმის მიცემით.

საბჭომ მოისმინა განცხადებანი ყოფილ ქალაქის თავის რ. ი. ჯავახიშვილისა და გამგეობის წევრების ხასან ეფენდი ლორთქიფანიძისა და თოროსოვის, რომელნიც ითხოვენ მიეცეთ მათ სალიკვიდაციო ფული.

გამგეობის აზრით ასეთი სალიკვიდაციო მათ ვერ მიეცემათ, ვინიდან ამა წლის 6 ივლის ბ. ბ. ჯავახიშვილის, თოროსოვს და ლორთქიფანიძეს მიუღიათ ქალაქის კასიდან ინგლისის სარდლობის განკარგულებით ორ-ორი თვის ჯამაგირი შტატს გარეშე დარჩენის გამო.

აზრ ი გაცვლა-გამოცვლის შემდეგ საბჭომ დაადგინა გადაეცეს ეს საკითხი საფინანსო კომისიას, რომელსაც ეთხოვოს მას დამუშავოს საკითხი გამგეობასა და პრეზიდიუმთან ერთად და წარმოუდგინოს ამის შესახებ მოსაზრებანი მომავალ სხდომას.

ი—ლი.

# მუშათა წერილები.

## ახალგაზრდა მუშათა კავშირის დაარსების საჭიროება.

პროლეტარიატის ბრძოლის საშვალებანი, ბრძოლის უახლოეს მიზნებზეა დამოკიდებული.

ამ მხრივ პროლეტარიატის კლასიურ ბრძოლის ისტორია შეიძლება რამდენიმე ეპოქებათ დავყოთ.

ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატმა გაიარა ბრძოლის ერთი ეპოქა. ამ ბრძოლაში მისი უახლოესი მიზანი თვითმპყრობელობის დამხობა და დემოკრატიული რესპუბლიკის დაფუძნება იყო.

ახლა იწყება ბრძოლის მეორე ეპოქა და ამ ეპოქაში პირდაპირ მისაღწევი მიზანი—სოციალიზმის დამყარებაა.

რასაკვირველია არა საქართველოდან დაიწყება სოციალისტური რევოლიუცია, ვინაიდან ჩვენ არა გვაქვს საამისო პირობები.

მაგრამ ჩვენ უნდა ვემზადოთ რომ ევროპის მუშათა კლასთან ფეხი-ფეხ ვიაროთ, ჩვენი მშრომელი მასა სოციალისტურ პარტიებს მისდევს, მაგრამ ამ მასაში ჭეშმარიტი სოციალისტური შეგნება-ცოდნა არ არის.

დემოკრატიულ სახელმწიფოს შექმნა-განმტკიცებასთან ერთად ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ხალხში, განსაკუთრებით კი პროლეტარიატში სოციალისტური შეგნება.

ხალხს, რომელიც სოციალიზმისათვის იბრძვის ნათელი წარმოდგენა უნდა ქონდეს სოციალიზმზე.

განსაკუთრებით კი ეს საჭიროა ახალგაზრდობისათვის, რომელსაც დააწვება მთელი სიმძიმე მომავალი ბრძოლისა, რასაც თვალსაჩინოთ გაუადვილებს ბრძოლის პერსპექტივებზე ნათელი და სადი წარმოდგენის ქონა.

საჭიროა ახალგაზრდობაში კულტურული, სოციალისტური მუშაობა. ახალგაზრდობას თითოეულის გამოკლებით, ამისთვის საკმაო დრო აქვს.

ყოველი საქმე ერთგვარ ფორმებს და ორგანიზაციას ითხოვს და ახალგაზრდობაში სოციალისტური მუშაობის გასაძლიერებლად საუკეთესო საშვალება იქნებოდა ახალგაზრდობია ერთ ორგანიზაციაში თავის მოყრა—მუშა-ახალგაზრდობის კავშირის მოწყობა.

საქ.-სოც. დემ. მუშ. პარტია წინამძღოლია საქართველოს მუშათა კლასის, მისი დამსახურებაა, რომ ჩვენი მუშები და გლეხები უფრო შეგნებული და გათვითცნობიერებულია, ვიდრე რუსეთის.

ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციამ უნდა შეისისხლხორცოს პარტიის სახელოვანი ტრადიციები და უნდა შეიქმნეს საქართველოს მშრომელ ახალგაზრდობის წინამძღოლად და მებაირახტრედ.

კერძოდ ბათომის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციამ ინიციატივა უნდა აიღოს ახალგაზრდა მუშების კავშირის შექმნის და ეს საშური და სასწრაფო კითხვა მოკლე ხანში მოაგვაროს.

ახალგაზრდა მუშა

# უკანასკნელი საათი.

## გერმანული ცნობები

—გერმანულ გაზეთების ცნობით მუსტაფა ქემალმა ანატოლიაში დემოკრატიული მმართველობა გამოაცხადა. ხალხს მოუწოდა სომხების და ბერძენთა წინააღმდეგ ქლეტის მოწყობისკენ, რომლის დროსაც მათ არ უნდა შეეშინდეთ არც ფრანგების და არც ინგლისელების, რადგან მათთან არის ღმერთი.

— ქემალისტებს შორის რასკოლი დაწყებულა.

— მერზიფონში 14000 სომეხი გაუჟლეტიათ

— ქემალ ფაშამ ბრძანება გასცა ტრაპიზონის და კერასუნდის მცხოვრები ქრისტიანები გაძევებულ და გადასახლებულ იქმნენ.

—საბერძნეთში ბოლშევიკების წინააღმდეგ უსასტიკესი ზომებია მიღებული.

— ხატისოვმა საბერძნეთში განაცხადა: ჩვენ ბოლშევიკებთან უკვე შევკარით ზავი, ქართველებთან რომლებთანაც ჩვენ სამწუხაროდ ახლო წარსულში მტრობა გვქონდა, დღეს საუკეთესო მეგობრული განწყობილება დავამყარეთ.

— თურქული გაზ. ,,ალემდას სესბესტი'' სწერს, რომ ავანტიურისტ დონკიხოტ მუსტაფას ბოლო მალე მოეღებაო.

— სომხეთმა თავის დესპანად საბერძნეთში ტიგრან ტაინი გაგზავნა.

— ფრაკიაში ბერძნული მთავრობა სასტიკად სდევნის სპეკულიანტებს.

— გაზ. ,,ნეა-ალიოს აზრით საჭიროა შეიქმნას კავშირი საბერძნეთს საქართველოს და სომხეთის, გამხრწნელ ბოლშევიზმის წინააღმდეგო.

— ბევრს ლაპარაკობენ ჩეხოსლოვაკიის სამხრეთ სლოვაკიის, რუ[illegible] და საბერძნეთის სამხედრო კავშირის შექმნაზე.

# მუშათა ცხოვრება.

რეზოლიუცია.

მოღებული სიძვირისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ბათომის პროფესიონალურ კავშირთა 9 სექტემბრის სხდომაზე.

ბათომის პროფ.-სიონალური კავშირთა საბჭო, [illegible] ხას სიძვირისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საშვალებებზე, უარყოფს ჯამაგირების მომატების დამღუპველ გზას და გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ენერგიული მოქმედება საზოგადოებრივი, სავაჭრო-სამრეწველო აპარატის და კერძოთ მუშათა მაგიდა, მისცემენ მუშებს იმ შემსუბუქებას, რომელსაც ის დღეს საჭიროებს,

საბჭო მოუწოდებს ბათომის პროლეტარებს, როგორც ფიზიკური ისე გონებრივი შრომის, ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს—მუშათა მაღაზიას, იაფ-ფასიან სასადილოებს, კოოპერატივებს და სხვ. და ებრძოლონ დემაგოგიას სასურსათო გაჭირვებაზე აღმოცენებულს, რომელიც მიზნათ ისახავს, რევოლიუციის მონაპოვართა დასამარებას, რომელიც გზას უხსნის მუშათა კლასს სოციალიზმის ნათელ სამეფოსკენ.

# ჩვენი ტელეფონი.

ძლიერ სასწრაფო საჭიროა მილიციის უფროსის სამმართველოს გამოძახება. მაგიდაზე ტელეფონის აპარატი სდგას და იწყება გამოძახება. როგორც იქნა მიიღეთ პასუხათ სუსტი ტელეფონის ზარის წკრიალი, ტელეფონში ისმის ხმაურობა, ქალების სიცილ-ხარხარი. ვიღაცას ბოხი ხმა.

— ია, ახაროვანა... ჩესტნოე სლოვო...

— ცენტრალნაია... ცენტრალნაია...

— თქვენ ეუბნებით: გთხოვთ შემაერთონ მილიციის უფროსის სამმართველოსთან.

— ჩტოო? ცენტრალნაია... ცენტრალნაია...

— გთხოვთ შემაერთოთ მილიციის სამმართველოსთან.

— ჩტო? ნე პონიმაიუ!.

— დაიტე უპრავლენიე მილიცია. კიდევ ბევრჯერ განმეორების შემდეგ მივიღე პასუხი ,,გოტოვო''!..

— იწყება გაუთავებელი რეკა, მთელი საათობით ატრიალებთ ტელეფონის ,,რუჩკას''-პასუხი არავისგან. ბრაზ-მორეული, იმედ-დაკარგული ატრიალებ კიდევ. უეცრივ ზარმა დაიწყო წკრიალი ვეკითხები.

საიდგან?-საიდგან? ოტ-კუდა? ოტკუდა?

— ვი კონჩილი? გვეკითხება ცენტრალური სადგური. თქვენ უპასუხებთ, რომ ჯერ არ დაგიწყია ლაპარაკი. ისმის:

— ცენტრალნაია... ცენტრალნაია.. და ჰკიდებ ტრუბკას და ეკითხებით თქვენს თავს: რა მნიშვნელობა აქვს ტელეფონს თუ იმით ვერ ისარგებლებთ...?

ბიძტოჩ.

ვიპოვე პრელი ძაღლი აქვს თბილისის საკისრე დამკარგველს შეუძლიან მიაკითხონ შერემეტევის ქ. № 9, მელიტონ ვასაძე.

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან.

სარედაქციო კოლეგია.

ლიკო მახარაძესთან, გამოსარკვევათ ვისი ბრძანებით და რა მიზნით შემოვიდა ჯავახოსანი. აქვთ თუ არა ნებართვა ინგლისელებიდგან? მალიკომ დარბაისლათ მიპასუხა, რომ მოვიდა მუშების და საამშენებლო მასალის დასაცავად, სამხედრო მინისტრის ბრძანებით. ხიდზე მომუშავეების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა უყდავდნენ ჩვენს მცველს ჯავახოსანს, რომელიც არწივივით გამოიყურებოდა ღამე.

თენდება, მამლები ერთი-მეორეს ყიყლიყოს ძახილით ეჯიბრებიან, აღმოსავლეთით ცა აწითლდა, მალე მზემც ამოაჭყიტა თვალი მგზავრები მიდი-მოდიოდნენ ჯავახოსანი ძალა-უნებურად იქცევს მათ ყურადღებას, შეჩერდებიან და დაიწყებენ ცქერას, ყველა გაკვირვებულია, უცნაური დაუპატიჟებელი სტუმრის მოსვლით. ხმები დადის, რომ ინგლისელები იარაღს აყრის ჯავახოსანსო.

ადგილობრივმა და ბათომიდგან ჩამოსულმა მცხოვრებლებმა მოიყარა თავი, ზოგი ოხუნჯობს, ზოგი დაღონებულია, იგონებენ ოსმალეთ-საქართველოსომს, ქართლ-კახელების, ამხ. ვალოდია გოგუაძის სიმამაცეს, რათ უწოდებენ ოსმალები „შაითან-მაშინას“ და სხვებს. ჯავახოსანზე მოსამსახურე გვარდიელები სულყველანი დინჯი, კმაყოფილების სახით გამოიცქირებიან, ეკითხებიან მათ: „დიდხანს იქნებით თუ არა ქობულეთში და რა მიზნით მოდითო“. ისინი მოკლე პასუხს იძლევიან „ვიქნებით სანამ ბრძანებას არ მივიღებთ და ჩამოვედით ხიდის, მუშა-მოსამსახურეების და საამშენებლო მასალის დასაცავათო“.

ჩემთან მოვიდა ქობულეთის ინგლისელი კომენდანტი ოლივერი და შეკითხვა, რა მიზეზით, ვისი განკარგულებით და სანამდის ფიქრობთ დარჩენასო. მე და ჯავახოსნის უფროსმა მახარაძემ, უპასუხეთ, „ჩამოსული ვართ ხიდის—საამშენებლო მასალის და მუშების დასაცავათ და ვიქნებით სანამ უფროსებიდგან ბრძანებას არ მივიღებთ''. ამის შემდეგ ის ბათომში წავიდა გენერალ კუკ-კოლისთან. ნათლად სჩანდა, რომ პოლიტიკური მდგომარეობა ძირითადათ შეიცვალა. ჩვენ ვამჩნევდით, რომ უმეტესი ნაწილი მიმავალ-მომავალ ხალხისა მტრულად გამოიცქირებოდენ, ხშირათ შეიარაღებულნი ყუმბარებით და რევოლვერებით ჩვენს ირგვლივ დაძრწოდენ, ხშირად უშვერი სიტყვით ახსენებდნენ საქართველოს, მათ მეთაურთ ეტყობოდა, რომ ვიღაც იუდა, თავისი სისხლიან ხელებს აფათურებდა გულ უბრიყვილო ხალხში და ძმებს-ძმების წინააღმდეგ ამხედრებდა. ეს დარაჯებს ვაფრთხილებ მოექცნენ სულ ყველას და განსაკუთრებით-კი მუსულმანებს, ძლიერ პატიოსნათ და ზრდილობიანათ.

ბ. გოგუა.